ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47.47220742**
თარიღი:**15/03/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 3

***დ. ჩოხატაური* 28 თებერვალი, 2022 წელი.**

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი კუჭავა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ზაალ მამალაძე, დავით გუდავაძე, ჯუმბერი ბერძენიშვილი, მარინე ბერაძე, აკაკი ყაჭეიშვილი, ზვიადი მამალაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, გოგი ბოლქვაძე, გიორგი მათითაშვილი, კლოდი მდინარაძე, გივი ჩხიკვაძე, ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, ლაშა ირემაძე, მიხეილ თავართქილაძე, კახაბერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ნოდარი ცხომელიძე, ზაურ ზარბაზოია, ბაია ძნელაძე, მამია ბარამიძე, ხათუნა ბერიშვილი, ბაჩო ახალაძე, არჩილ სიხარულიძე, ნინო რამიშვილი.

არ ესწრებოდა: ბიძინა ცინცაძე, დიმიტრი კორიფაძე, მაია გიორგაძე, ქეთევან სიხარულიძე, მანანა მინდაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, მარინე თავაძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მუნიციპალიტეტის მერი - დავით შარაშიძე;

ლელა მდინარაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი;

ირაკლი აბობაძე - მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თეა უჯმაჯურიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ გოგიბერიძე - მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ ბარბარობის დღესასწაული მიულოცა საკრებულოს წევრებს, შემდეგ კი გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

2. „დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი კუჭავამ, ჯუმბერ ბერძენიშვილმა, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

2. „დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

თანამომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

I საკითხი:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> თემურ ხუხუნაიშვილმა, ლაშა თოლორდავამ, კლოდი მდინარაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _25

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

II საკითხი:

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს:

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, რომელმაც განმარტა, თუ რამ განაპირობა დაბა ჩოხატაურში ,,ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში“ ცვლილების შეტანა. კერძოდ: ყოფილი წიგნების მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად საკითხის ადგილზე შესწავლისას მიზანშეწოლილად მივიჩნიეთ აღნიშნულ ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სატრანსპორტო საშუალებების და მოქალაქეთა დენადობის შემცირება. რის გამოც, აუცილებლობას წარმოადგენს საგზაო ნიშანი ,,დგომა აკრძალულია“ დაიდგას იქ, სადაც მიკროავტობუსების სადგომია. მით უფრო, როცა პოლიციის მხრიდან ხიდით დამაკავშირებელ გზაზე ნიშანი ,,ქვეითთა გადასასვლელი“ მხედველობის არეალს უზღუდავს მძღოლებს. მხედველობაში მივიღეთ ის გარემოებაც, რომ იქვე მდებარე მუზეუმის წინ, რომელიც ტურისტული კუთხით სავიზიტო ბარათია, ტაქსის მძღოლთათვის მუდამ თვითნებურად დგომის ადგილადაა გადაქცეული. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა გადაგვაწყვეტინა უკვე მიღებულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რომლის განხორციელების შემდეგ, ყოფილი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხუთი ერთეული ტაქსის დგომისათვის განთავსდება შესაბამისი საგზაო ნიშანი, ხოლო მიკროავტობუსების სადგომად გამოყენებული იქნება რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მგზავრთა მოსაცდელის (სოფ. გოგოლესუბნის გადასახვევი) გვერდითი ადგილი, სადაც სოფელ სამების მიკროავტობუსი დგება. ბუნებრივია, რომ აქაც შესაბამისი ნიშნის დადგმა იქნება საჭირო. აღნიშნულთან დაკავშირებით, გრძელდება კონსულტაციები მიკროავტობუსების და ტაქსის მძღოლებთან.

გადაწყვეტილი გვაქვს, ხელოვნების სასახლის წინ განთავსებული სამი ჯიხური, რომელიც გადმოეცა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, გადატანილი იქნას ყოფილი უნივერმაღის უკან, უკვე არსებული გარე ვაჭრობისთვის მოწყობილი ღია პავილიონის გვერდით, სადაც ახლო მომავალში ვფიქრობთ გარე მოვაჭრეების გადაყვანას. მომზადდება პროექტი, თუმცა ჯერ საკითხი შესწავლილი არ არის.

ზაალ მამალაძე დაინერესდა, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში იგეგმება თუ არა გზების ხელახალი დახაზვა, რადგან უკვე თითქმის გადაშლილია გზებზე მონიშვნები და მეტი უსაფრთხოებისთვის აუცილებელია მოწესრიგდეს.

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს, თუმცა შესაძლებელია თანხის მოძიება და ცვლილება წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

III საკითხი:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

თანამომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია გოგოლაძემ, რომლმაც საკრებულოს წარუდგინა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები და აღნიშნა რომ ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში, საფინასო-საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, პროექტში შესულია ცვლილება, კერძოდ: გაზრდილია, სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი, (სალიცენზიო მოსაკრებელი), 10,0 ათასი ლარით, ასევე მოსაკრებელი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის, მათ შორის დაბა ბახმაროშიც 35,0 ათასი ლარი.

ირაკლი კუჭავამ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ როგორ მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება,თეა უჯმაჯურიძემ გააკეთა განმარტება, რომ სისტემა გამართულია, სწრაფი გადახდის აპარატებზე აპლიკაცია ჩატვირთულია, ხელშეკრულება დროებით შეჩერებულია

პანდემიის გამო, მოქალაქეებსთვის შეღავათების გაწევის მიზნით. მოხდება ხელშეკრულების აღდგენა და სისტემა იმუშავებს გამართულად, დანარჩენი, თუ რა შემოსავალს მივიღეთ, დამოკიდებულია მოქალაქეთა კეთილსინდისიერ ნებაზე.

ვლადიმერ სიხარულიძემ საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სახელით დააყენა წინადადება, რომ დაბა ბახმაროს საკითხთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ბახმაროში არსებულ მდგომარეობას, კერძოდ: უკანონო მშენებლობების, მიწის ლეგალიზაციის, მოსაკრებელის ამოღების, დასუფთავების, ქონების გადასახადის, გადასახადების ამოღების, ბახმაროს საზღვრების დაზუსტების საკითხს და სხვას.

ირაკლი კუჭავამ ვლადიმერ სიხარულიძეს თხოვა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობასთან დაკკავშირებით, თავისი ვერსიის წარდგენა.

მამია ბარამიძემ გააკეთა განცხადება, რომ არ აპირებს ბიუჯეტში შესატან რომელიმე ცვლილებას დაუჭიროს მხარი, ვიდრე ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იქნება უფასო სასადილოს გახსნის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

IV საკითხი:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა, მარინე ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

V საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ გოგიბერიძემ, რომელმაც საკრებულოს წარუდგინა 2021 წელში მერიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

ლაშა თოლორდავა და გოგი ბოლქვაძე დაინტერესდნენ, სოფლის პროგრამების განსახორციელებლად ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით სისტემა რა პრინციპით მუშაობს.

ვლადიმერ გოგიბერიძემ განმარტა, რომ საქართველოს კანონი „შესყიდვების შესახებ“ სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით მიგვითითებს, რომ განხორციელდეს გამარტივებული წესით, ხელშეკრულებით, რაც შეეხება პრინციპს ხელშეკრულების გაფორმების, ასეთია: ყველა დარეგისტრირებულ მეწარმეს ეგზავნება ინფორმაცია სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით, ვინც წარმოადგენს ხარჯთაღრიცხვას და იმავე მოცულობის სამუშაოს შეასრულებს ნაკლებ ფასად, მას გაუფორმდება ხელშეკრულება. თანაბარი პირობების შემთხვევაში, მას მიენიჭება უპირატესობა, ვისაც დროში პირველად ექნება წარმოდგენილი დოკუმენტაცია. წარმოდგენა ხდება ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც აკონტროლებს შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი.

მამია ბარამიძემ ფრაქციის სახელით აღნიშნა, რომ ბევრი შეცდომაა, თუნდაც სისტემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სამუშაო ბევრია, რომ შეიცვალოს უკეთესობისკენ, 2021 წელში შესყიდვების სამსახურის მუშაობა არ არის მისაღები და მოსაწონი.

მიღებულია განკარგულება:

ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში.

VI საკითხი:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ლაშა თოლორდავამ, გოგი ბოლქვაძემ, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისრტაციული წარმოების დაწყების შესახებ.

განსახილველი საკითხების ამოწურვის შემდეგ, განცხადების გაკეთება ითხოვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა - დავით შარაშიძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე და თანადგომა გამოუცხადა მათ.

ამასთანავე, საკრებულოს წარუდგინა ინფორმაცია, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და უახლოეს მომავალში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტების შესახებ.

პირველ რიგში შეეხო მიმდინარე პროექტებს,კერძოდ:

ორპირას პროექტის, II-ე ეტაპს, რომელიც მოიცავს ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის შექმნას ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისთვის, შესაბამისად, ადგილობრივი ბიზნესისი მხარდაჭერას, რისთვისაც ჯამში დაიხარჯება 1,627,006 ლარი;

- „სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს მონასტრის უნიკალური პოტენციალის გამოყენებისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის უნდა მოეწყოს საინფორმაციო დაფა, 2 საპიკნიკე ფანჩატური 2 საპარკინგე ადგილით, 1 სველი წერტილი (საპირფარეშო), პროდუქციის სარეალიზაციოა 1 გადასახედი მოედანი, კელიებთან ჩასასვლელი 12 მ. კიბე მოაჯირით, 110 მ. საფეხმავლო ბილიკები მოაჯირით მონასტრის ეზოში, წყაროსთან მისასვლელი ენბაზის ბილიკი, 2066 მ. სიგრძის და 3 მ სიგანის მონასტერთან მისასვლელი ბეტონის გზა და 1034 მ ასფალტის გზა 4მ სიგანის, რისთვისაც ჯამში დაიხარჯება 1,067,503 ლარი.

- მიმდინარეობს სოფელ ამაღლებაში ტაძართან და გურული ენდემური ჯიშის ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოვებისთვის,პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 404,000 ლარს.

ასევე, მიმდინარე პროექტია ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეთნოგრაფიული სივრცეების მოწყობა ჩოხატაურის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის შექმნის მიზნით, პროექტის მთლიანი ღირებულებაა: 252,500 ლარი;

პროექტირების ეტაპზეა გორაბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 262 500 ლარს.

რაც შეეხება რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებს,დაგეგმილია:

1. სოფელ ნაკადულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, (გარდამავალი პროექტი პირველი ეტაპი-384,709)-საპროექტო ღირებულება 865,680 ლარი, აღნიშნული პროექტით რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2335მ საავტომობილო გზას;

2. სოფელ ზემოფარცხმაში (მეფარიშვილების უბანში) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია,-საპროექტო ღირებულება-498,410ლარი, აღნიშნული პროექტით რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფ. ზემოფარცხმაში მეფარიშვილების უბანს და მთავრდება ჩოხატაური-ბუკისციხის გზასთან მიერთებით 1153მ;

3. სოფელ ჯვარცხმა-გორაბერეჟოულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-საპროექტო ღირებულება 423,101 ლარი, აღნიშნული პროექტით რეაბილიტაცია ჩაუტარდება ორი ადმინისტრაციულ ერთეულის დამაკავშირებელ გზის 1585მ-ნ მონაკვეთზე მოეწყობა ა/ბეტონის საფარი;

4. შუაამაღლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-საპროექტო ღირებულება-229,423 ლარი,

   აღნიშნული პროექტით სავალი გზის რეაბილიტაცია ა/ბეტონით ჩაუტარდება ჯიბლაძეებისა(404მ) და ბაბულეიშვილების (630მ)უბანს და სასაფლაოდან შ.სიხარულიძის ეზომდე მოშანდაკება და დაპროფილება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის დამატებით1440კვმ;

5. სოფელ ქვენობანში სკვერის მოწყობა საპროექტო ღირებულება-76,431 ლარი, აღნიშნული

პროექტით სოფელ ქვენობანში მოეწყობა გადახურული ფანჩატური ლითონის კონსტრუქციით, სკამები,მაგიდა ელ.გაყვანილობა;

6. სოფელ დაბლაციხეში ე.წ. ფურნედან სკოლამდე, საყვავისტყის მიმართულებით ადმინისტრაციულთან და ჩხიკვაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-საპროექტო ღირებულება 281,427ლარს.პროექტი ითვალისწინებს სოფელ დაბლაციხეში ა/ბეტონის საფარის მოწყობას გზის სავალ ნაწილზე რეაბილიტაცია ჩაუტარდება 1434გრ/მ-ზე,მოეწყობა ცხაურიანი კიუვეტები ,რკ/ბეტონის წყალგამტარი მილები მიერთებები და ეზოებში შესასვლელები ნაწილობრივ გაფართოვდება გზის სავალი ნაწილი;
7. დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის ქუჩის l ჩიხის რეაბილიტაცია-საპროექტო ღირებულება 108,030 ლარი, აღნიშნული პროექტით რეაბილიტაცია ჩაუტარდება ნინოშვილის ქუჩის I ჩიხს, რომელიც დააკავშირებს ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმავალ გზას დაიგება 355მ;

8. სოფელ სამებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-საპროექტო ღირებულება 262,588 ლარი, აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია სოფელ სამებაში ა/ბეტონის საფარის მოწყობა 700მ-ზე.

ხათუნა ბერიშვილმა მიმართა მერს, საჭამიასერი-ზემოხეთის მიმართულებით ხომ არ არის გათვალისწინებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

- ბაჩო ახალაძე ნაკადულის გზისა და კოხნარში არსებული ადმინისტრაციული შენობის, რომელშიც ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რეაბილიტაციის ბედით დაინტერესდა.

- ქვენობანი-ბუკნარის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების მოწესრიგება ითხოვა ნინო რამიშვილმა.

მერმა ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მითითებულ თითოეულ ადგილას უპირობოდ ჩასატარებელია სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა, ამ ეტაპზე სამუშაო ჩატარდება იქ, სადაც ამის აუცილებელი საჭიროებაა. მიმდინარე სამუშაოებით არ მთავრდება სოფლის პროექტები, მაგრამ, პირველ რიგში, პრიორიტეტულია ადგილები, სადაც მოსახლეობასთან გზის არ არსებობის გამო, ვერ მიდის სასწრაფო დახმარების მანქანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი